


სპორტიელი

მედიკონი
ბიზნისი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 30 აპრილი 2007 №95 (3018)

ფასი 50 თეთრი

უმთა რობერდრაბაში



სპორტიელი
ბიზნისი

ანდრეისები: მილანი, ჩელსი, ბარსელონა?

ანდრეი შევჩენკო — მსოფლიო ფეხბურთის უკრაინელი ვარსკვლავი „ბარსელონას“ სამიზნეზეა. ესპანური „ელ მუნდო დე პორტივოს“ ცნობით, ლონდონის „ჩელსის“ თავდამსხმელში კატალონიელები 30 მილიონ დოლარს იხდიან.

ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, დათანხმდება თუ არა ამ წინადადებას რომან აბრამოვიჩი, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ „ჩელსის“ თავკაცი ჟოზე მურინიუ შევას მაინცდამაინც არ სწყალობს, დიდი შანსია, ასეც მოხდეს.

ყოველ შემთხვევაში, მოლაპარაკებები უკვე დაიწყო და ვნახოთ, რა მოხდება ზაფხულში, რომელიც წლეულს ძალიან ცხელ და მსუყე ამბებს გვირდება.


სასახლეში გადატრიალება

წლობით უკეთებადს ახალი მოკეთებები გამოაკეთებან



ჩაიი პარსკვლავი უენა ხარ

მართული ტელტარობანა:
სეირი და ხეირი კეეები არიან



პალონი კეეილბაქის ფოტო

გურამ დოლონენაშვილის ფოტო

საქართველოს

უმაღლესი ლიგა

18

ჩემპიონატი

II წრე, 22 ტურ



ბორჯომი 2:0 სიონი
ტორპედო 2:1 უსტაფონი
ამერი 1:1 ზესტაფონი
დილა 1:1 ლოკომოტივი
დინამო 3:0 მერანი
ბათუმი 1:2 ოლიმპი
ჩიხურა 0:1 ვიტ ჯორჯია

ოლიმპი	22	17	4	1	52:7	55
დინამო	22	17	1	4	47:17	52
ამერი	22	14	5	3	43:14	47
ჯასტაფონი	22	13	8	1	43:10	47
308 ჯორჯია	22	12	7	3	39:23	43
სიონი	22	11	2	9	26:19	35
ტორპედო	22	9	4	9	21:24	31
ბორჯომი	22	7	6	9	24:30	27
ბათუმი	22	6	5	11	21:26	23
ლოკომოტივი	22	5	6	11	14:30	21
მერანი	22	4	7	11	15:35	19
ჩიხურა	22	4	6	12	12:33	18
დილა	22	2	4	16	15:54	10
ახალი	22	0	1	21	18:69	1



ნუ გაიწითლებ თავს, ნუ გააწითლებ სხვას

ჯედიჯედ მეორე ტურია, ფეხბურთელს მოეწონებდა აძვებენ. „ოლიმპი“ — „ჩიხურას“ მატჩში ვიორგი ქუცურუა მსაჯის სიტყვები და ფიზიკური შეურაცხველობის გააწიოლეს, „დინამო“ — „მერანის“ შეხვედრისას კი დინამოელ მიხეილ ხუციშვილს და მერანელ კახა გლუნჩაძეს დაატოვებინეს მოედანი. ტრიბუნებიდან გასაკვირად ჩანდა, თუ რატომ დაიმსახურა ხუციშვილმა ესოდენ მაკარი სასჯელი: გლუნჩაძეს, რომელმაც გვარიანი უთავაზა, ხელი არ შეუბრუნა. საქმე კი, როგორც მსაჯმა დავით ხარიტონაშვილმა გვითხრა, ასე ყოფილა — მართალია, ხუციშვილი ხელით არ შეხებია მეტოქეს, მაგრამ უშვერი და მუქარის სიტყვებით მიმართა მერანელთა მეკარეს.

სხვა საკითხია, რატომ გაართვა ხელი მეტოქეს გლუნჩაძემ არცთუ მწვავე ეპიზოდში. ამ დროისთვის თამაშის დასრულებამდე ერთი წუთი რჩებოდა და „მერანიც“ 0:3-ს ავებდა. პოდა, შესაძლოა, ისე მოხდეს, რომ სადისციპლინო ტექნიკურმა კომიტეტმა გლუნჩაძეს სეზონი დაუმთავროს, ჩემპიონატში ხომ ოთხი ტურიღა და რჩენილი. თავზე ხელს, ცხადია, არც ხუციშვილს გადაუსვამენ და „ოლიმპთან“ საჩემპიონო ჯახის გამოტოვება მოუწევს.




ბოლნისის „სიონისთვის“ ეს უკვე ტრადიციაა — კლუბის მესვეურები თამაშის დროს მითითებებს აძლევენ ფეხბურთელებს. ამას კლუბში, ეტყობა, შეგუვნენ, თუმცა „ბორჯომი“ — „სიონის“ მატჩისას ეს გასაკვირი სულაც არ იყო — კახა ცხადაძის წასვლის შემდეგ „სიონს“ დროებითი მთავარი მწვრთნელი ჰყავს და ვინ იცის, იქნებ ასეთი მითითებები გუნდისთვის სარგოც კი იყოს — „სიონი“ ისე იყო დაბარებული ბორჯომში, შეძახილები და შეფუცხუბება სწორედ რომ სჭირდებოდა. მალე კი „სიონის“ მესვეურებსაც დაუდგებათ მითითების უაბი — მომდევნო სეზონისთვის ისეთ მთავარ მწვრთნელს უნდა დააღონ თითი, ჩემპიონატს მაინც რომ ჩაამთავრებს.

კასია და ნერვეზი

მწვრთნელობა რომ დაეწყო, ორ წელიწადში კეფაზე თმები გამცვივდაო — თქვა ერთხელ ოტმარ ჰიტცელდმა. ლუის სეზარ მენოტი ერთი მატჩის განმავლობაში ორ კოლოფ სიგარეტს უღებდა ბოლოს და რომელი ერთი ვთქვაო...

რაზე გავვახსენდა: გორის „ქართლზე“ „ჩიხურა“ — „ვიტ ჯორჯიას“ მატჩისას საჩხერელთა მწვრთნელი ხეინა ქასრაშვილი ერთ-ერთ ეპიზოდში მსაჯს შემოსწვრა, თუმცა ძალიან უბრალო ეპიზოდი იყო და ის ჯარიმა რომ დანიშნულიყო, ძალიან ვეჭვობთ, მატჩის შედეგზე გავლენა მოეხდინა. ქასრაშვილი უფრო თავისი შეგვირდების უნიათობამ გააბრაზა, სტადიონის ტერიტორია დატოვა და დაახლოებით 15 წუთი შორიდან უყურებდა თამაშს.

„ჩიხურაში“ რომ არეული სიტუაციაა, ისიც მეტყველებს, რომ სათადარიგოთა სკამზე ქასრაშვილის თანამემწე ვახტანგ თურმანიძე და კიდევ ერთი მწვრთნელი შეკამათდნენ.



ქასრაშვილი კი ალაღად შეკვრილობდა — ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე ურიგო მწვრთნელი არ არის, რაც „სიონში“ მუშაობისას დაუმტკიცებია და წარმატებას მიჩვეული კაცისთვის, ეტყოდა, „ჩიხურას“ გაწვრთნა ძნელია.

ექსპრესივით გაირბინა მეორე წრის ცხრა ტურმა, დარჩა მხოლოდ ოთხი და ამ ოთხში გველის მთავარი ამბები. უკვე შეგვიძლია, საჩემპიონო ბრძოლა ერთა რბოლად გამოვაცხადოთ:

„ოლიმპი“ და „დინამო“ — ჩემპიონატის ბოლომდე მთავარი ინტრიგა სწორედ მათ თამაშებში იქნება. პარასკევაძემ რუსთაველებს და დინამოელებს „ამერი“ და „ზესტაფონიც“ მისდევდნენ, მაგრამ ამით გლდანში ფრე ითამაშეს და ორივემ ჩაიქნია ხელი — გასარკვევი 26 მაისის თასის ფინალში გავარკვიოთო... ცხრილის ძირშიც, უფრო სწორად, საპლეიოფო მეთორმეტე ადგილზეც დიდი ორომტრიალია: ოთხ გუნდს კვლავ ემუქრება იქ მოხვედრა და პირველი ლიგის შესამეადგილოსთან ჯახხირი. აბა, ორი გავარდნილი კი უკვე გაცხადდა: „ლოკომოტივთან“ ვერმოგება „დილას“ ბოლო შანსიც გამოაცალა

თამაშის შედეგები

5 მაისი, შაბათი	ჩიხურა - ბორჯომი
308 ჯორჯია - ბათუმი	ოლიმპი - დინამო
მერანი - დილა	ლოკომოტივი - ამერი
ზესტაფონი - ტორპედო	უსტაფონი - სიონი

სამსახური

დიმიტრი ტატანაშვილი ამერი	სანდრო იაშვილი დინამო
სანდრო კოპახიძე დინამო	დავით დიღვილაშვილი დინამო
აპოლ კისანი ზესტაფონი	დინის ფობარკოვსკი ამერი
კახა ჩხატიანი ზესტაფონი	ვილერ კარაკო დინამო
სიმეონი ნაბრკიძე	გელა დოდაძე ზესტაფონი
	გიგა შამრილაძე ბორჯომი




გოგზარდირები

16-09330	დინამო
13-00005	ზესტაფონი
10-00000	ვიტ ჯორჯია
8-00000	ოლიმპი
0000000	ზესტაფონი
0000000	ამერი
0000000	ამერი
0000000	ამერი
0000000	ამერი
0000000	ამერი
0000000	ვიტ ჯორჯია
0000000	დინამო


6 თამაში, 9 გოლი — ასეთია სანდრო იაშვილის სტატისტიკა ბოლო მატჩებში. „დინამოს“ ჭილა მაგარ ფორმაშია, მისმა ნახტომებმა და მძლავრმა თავურებმა უკვე ბევრი გუნდი დაამწუხრა და სანდრო აწი მეტსაც ეცდებოდა, წინ ხომ გადამწყვეტი თამაშებია.

თუ სასახლეა, სასახლე იყოს!

ახალი კველთან ლუჩისი იშნება



ერთი თვის წინ ვწერდით, რომ საქართველოში უმთავრეს ჭერქვეშა სარბიელს, სპორტის სასახლეს საფუძვლიანი რემონტი უტარდებოდა. მაშინ ისიც გვწერა, რომ სპორტის სასახლე 30-წლიანი იჯარით „ლოჯიკ ჯგუფს“ გადაეცემოდა, რომლის დამფუძნებლებიც ცნობილი ბიზნესმენები თემურ უგულავა და იმერეთის ყოფილი გუბერნატორი ვია გენაძე არიან. ახლა ყველაფერი ოფიციალურადაა გაფორმდა, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ტენდერის შემდეგ სპორტის სასახლე 30-წლიანი იჯარით „ლოჯიკ ჯგუფს“ გადასცა. სპორტის სასახლის ახალი დირექტორი არქიტექტორი ლაშა ხუციშვილია. ძველი დირექტორი ვალერი ლომაძე კი მის მოადგილედ იმუშავებს



— ტენდერის მთავარი პირობა სასახლისთვის პროფილის შენარჩუნება და პირველ ეტაპზე რემონტისთვის ორი მილიონი ლარის დახარჯვა იყო — გვეუბნება ლაშა ხუციშვილი.

— პირველ იარუსზე სკამები აყრილია, ინდივიდუალურ სკამებს დადგამთ?

— დიახ, სკამები უკვე შევუკეთეთ. იტალიიდან ჩამოვავაქვს ამ ეტაპზე მხოლოდ პირველ იარუსზე იქნება ინდივიდუალური დასაჯდომები, სექტემბრიდან კი მოლიანად შეიცვლება. იატაკი დანიიდან ჩამოვავაქვს, საშხავეებს, გასახლელებს, მსაჯების ოთახს საფუძვლიანად გავა-

რემონტებთ. ყველაფერი თანამედროვე დონეზე გაკეთდება და მსოფლიო სტანდარტებში ჩაჯდება. ძირითადი არენის გარდა ორი სათადარიგო დარბაზია და იქაც საფუძვლიანი რემონტი კეთდება. ახლა მთავარია, სამუშაოების ძირითადი ნაწილი აგვისტოსთვის მოვასწოროთ, რადგან საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებს ორი საშინაო მატჩი აქვს ჩასატარებელი. მანამდე სპორტის სასახლე დაიკვება.

— საბოლოოდ, დაახლოებით რა დაჯდება რემონტი?

— სექტემბრამდე ორი მილიონი ლარი დაიხარჯება. თანხა კიდევ გაიზრდება, ოღონდ რამდენით, ვერ

არ ვიცი. ალბათ, ერთი ამდენი კიდევ დასჭირდება. განათებაც გასაუმჯობესებელია. სპორტის სასახლეში ლამის ყველაფერი მოძველებულია. „სიმენსის“ პროექტორები ჩამოგვაქვს თანამედროვე ტაბლოც უნდა დავამონტაჟოთ. იდეაში გვაქვს თალზე დაკვიდოთ ვიდეოტაბლო, როგორც ამერიკაშია. ოღონდ ამას სექტემბრისთვის ვერ გავაკეთებთ. ვიდეოტაბლო ხუთ ტონას იწონის, საკიდი ორტონიანია და თავი ალბათ ვერ გაუძლებს. სექტემბრიდან კი მის მდგრადობას შევისწავლით და ვიდეოტაბლოსაც ჩამოვიტანთ.

— როგორც ჩანს, არენასაც აფართოებთ...

— დიახ, სიგრძეშიც და სიგანეშიც ორი მეტრით გაიზრდება. ეს აუცილებელი იყო, რადგან საჭიდაო ტურნირებისთვის უკვე სამი ხალიჩა თავისუფლად გაიშლება.

— სპორტის სასახლის კერძო ინვესტორის ხელში გადასვლა მისი ექსპლუატაციის ხარჯებს მნიშვნელოვნად გაზრდის?

— ეს ყველაფერი მოლაპარაკებაზე დამოკიდებულია, მაგრამ სპორტული ღონისძიებებისთვის უსაშველო თანხას არ მოვიტხოვთ. არენის ფასი რეალური იქნება და მისი გადახდა არავის გაუჭირდება.

ბაჩო სვანიძე
გურამ დოღუნჯაშვილის ფოტოები





ყველა პარსკვლავის მატჩი ვერის ბაღი. 28 აპრილი

სალხს სეირი, სპორტს სეირი



ნაღდი, დასავლური საოლსტარო ბატალიებისა რა მოგახსენოთ, თუმც რაც შაბათს ვერის ბაღში იყო, გულგრილი და უკმაყოფილო არავინ დაუტოვებია. სუპერლიგად წოდებული ეროვნული ჩემპიონატის ყველა ვარსკვლავის მატჩი, მეტადრე მისი თანმხლები კონკურსები, ქართული კალათბურთის კვალობაზე მართლაც შთამბეჭდავი გამოვიდა. ეს ოლ სტარი ბევრად სჯობდა მის წინამორბედებს და ვინც ვერის ბაღში ამ შოუს სანახავად მივიდა, ნამდვილად არ უნანია. თუკი აქამდე ყველა ვარსკვლავის მატჩს მხოლოდ ჩატენებისა და სამქულიანების კონკურსები ახლდა, ახლა ამათ უკანახაზელთა შეჯიბრიც დაემატა, რომელიც წინალობების ზიგზაგოვან დაძლევის დროის უმოკლეს ვადაში ითვალისწინებს. ეს კონკურსი ქართული ოლ სტარისთვის სიახლეა და მომავალში ალბათ უფრო დაინტერესება, აი, ჩატენებისა და სამქულიანების შეჯიბრი კი, ისეთი საინტერესო და ემოციური იყო, მაყურებელს მალევე ახტუნებდა სკამდან. ჩვენც მივყვეთ და ცალ-ცალკე აღვწეროთ ის ღონისძიებები, რაც დღემდე ყველაზე საინტერესო ქართულმა ოლ სტარმა დაიტიო

გადარი კატილაშვილი ფოტო

უსტიაშვილის გუნდი 145:118 მოსკოვილი გუნდი

35:33	35:27	40:27	35:31
გამყრელიძე (7), ბოისა (19), ტულუში (19), მარკოიშვილი (26), უგრეხელიძე (2); გოგობერიშვილი (17), დიდია (16), ლაფანაშვილი (9), დოლიძე (8), გულისაბედაშვილი (7), ბეჟანიშვილი (8), გვიმრაძე (7)	ლეჟავა (15), ბერაია (9), ხეცურიანი (14), შანიძე (13), მათიაშვილი (8); ბაბიაშვილი (24), გ. ბარბაქაძე (14), დ. ბარბაქაძე (8), მ. ბერიშვილი (9), ბ. ბერიშვილი (9), დ. ბერიშვილი (2)		

მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი, დავით არეშიძე

მატჩი

ოლ სტარის არსი სანახაობა და სპორტული ინტერესი საღაც მესამე, ანაც მე-ხუთეხარისხოვანია. თუმც თვით ამერიკელები, ოლ სტარისა და საკუთრივ კალათბურთის გამომგონებლებიც კი ცდილობენ, რომ შეტევაში ბარბაქაძის თამაშს შესაფერისი არა, მაგრამ ნორმალური დაცვა შეუხამონ. გუშინწინდელ ვერისბაღულში კი დაცვა სარეოლად არ არსებობდა. ეს, რა თქმა უნდა, შეტევას ამრავალფეროვნება, მაგრამ მთლად ასეთი დაუცველობაც არ ვარგოდა და ამას თუ დაუწუნებთ ქართულ ყველა ვარსკვლავის მატჩს. საჯარიმო არავის უსვრია და მთლიანობაში მხოლოდ ერთხელ დაჯარიმდნენ — აზოტელმა რევაზ დიდიამ უფუნქციო მსაჯს წამიერი საქმე გაუჩინა.

რაკი დაცვითი ჯებირები მოხსნილი იყო, ვისაც როგორ სურდა, ისე იქიდა ქულებს. მატჩის ბომბარდირმა და უძვირფასესმა მოთამაშე გიორგი მარკოიშვილმა ჯერ შორიდან დაბომა მეტოქის კალათი, მერე კი სოლო-გარღვევებით მიჰყო ქულების გროვებას ხელი.

ანატოლი ბოისა დაფრინავდა და ერთხელ ისეთი ჩატენა, ატლანტიკის გაღმა რომ სწევით — მოედნის კუთხიდან დაკიდებული ბურთი მან ზედ რკალის წინ, ჰაერში მიიღო და მოხდენილი მოძრაობით კალათში ჩააჭყდა.

ეს იყო ყველაზე ლამაზი, თორემ რაც ამ მატჩში ბურთები ჩაიტენა, მთელს სეზონს ბარე ორჯერ ეყოფოდა. არ დაგვითვლია, თუმც შეიძლება, ჩატენილი ბურთი უფრო მეტი ყოფილიყო, ვიდრე ჩავდებული.

დავით უსტიაშვილის გუნდს ძირითადად „აზოტის“ მოთამაშეები შეადგენდნენ და ეს თამაშშიც გამოჩნდა — ისინი უფრო იოლად უგებდნენ ერთმანეთს და საბოლოოდ გამარჯვებს კიდევ უძვირფასესი მოთამაშე 26 ქულის მომხვეჭი გიორგი მარკოიშვილი გახდა, რომელმაც საპატიო პრიზი თავისი მეგობრისგან, ზაზა ფაჩულიასგან ჩაიბარა. ზაზა ოლ სტარს არ დასწრებია, ის შაბათს ჩამოფრინდა ამერიკიდან და პირდაპირ აეროპორტიდან ოლ სტარის დასრულებისას მოვიდა ვერის ბაღში.

ჩატენები

ეს იყო ყველაზე დრამატული და ემოციური კონკურსი. პირველი ტაიმის შემდეგ საკვალიფიკაციო ეტაპი გაიმართა და ფინალისტებიც მყისიერად გამოვლინდნენ — ანატოლი ბოისა და დავით ბარბაქაძე. მიხეილ ფაჩულიძემ ყველა ცდა გააფუჭა, ხოლო გივი ბარბაქაძემ მოხდენილად კი ჩატენა, მაგრამ ფინალისტების დარად ვერ იყოჩაღა.

აი, ფინალი მართლაც შთამბეჭდავად წარიმართა. ორივე მტენავი უმაღლეს შეფასებას იღებდა, ისე ექსტრავაგანტულად ასრულებდნენ ილეთებს და ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს პროცესი, რომ არა ყოურის ერთ-ერთი წევრის ორიგინალური გადაწყვეტილება. უმაღლესი ქულა 5-იანი იყო, ამროსი ორმოცამდე კი დავით ბარბაქაძის მორიგი ილეთის შეფასებისას 5-იანი ხომ ასწია და მასთან ერთად დანარჩენი ნიშნებიც აღმართა. ოლ სტარის წამყვანმა, ესტრადის მომღერალმა მამუკა ონაშვილმა გამარჯვებულად „ავიამშენის“ აზერბაიჯანიდან მობრუნებული ფორვარდი დავით ბარბაქაძე გამოაცხადა.

დავითმა ეს ორიგინალური შეფასება ორი ბურთის ერთდროულად, ერთი ახტომისას ჩატენვისთვის მიიღო. ეს ცნობილი ილეთია, თუმც რაც მან მანამდე გააკეთა, ნამდვილად უცხო ხილი იყო ბევრისთვის. ის ფარის უკან, აუტში, ცოტა განზე დადგა და სამწამანისკენ გამოქანდა. ბარბაქაძე მანამდე ახტა, სანამ პირით ხაზს გადაკვეთდა და შესაბამისად, კი არ შემოვიდა მოედანზე, არამედ შემოფრინდა. მან გზად ჰაერში ის ბურთი დაიჭირა, რომელიც დამხმარებ ფარს უკანა მხრიდან მოარტყა და ასე ორიგინალურად ჩატენა კალათში. წესით, გამარჯვებული ამ ილეთის შემდეგ უნდა გამოვლენილიყო, მაგრამ ანატოლი ბოისამაც მანამდე უმაღლესი შეფასება მიიღო და კონკურსანტებმა დამატებითი ცდა მიიღეს.

სამქულიანები


ასეთი დრამატული შეჯიბრიც არ გამართულა აქამდე. გამარჯვებული ერთმა, ისიც ბოლო სროლამ გამოავლინა — ჩაგდებდა ნოდარ ბერაია იგებდა, ააცდენდა და სნაიპერის ტიტულს აზოტელი კოტე ტულუში დაეპატრონებოდა. ბერაიამ ბოლო სამიდან ორი სროლა ააცილა და თუნდაც ბოლო ბურთი რომ ჩაეგდო, გაიმარჯვებდა, მაგრამ...

არადა, შესარჩევ ეტაპზე ბერაიამ ხუთ მონაწილეში ყველაზე მეტი ქულა დააგროვა: ბერაია 23, ტულუში 22, დავით ბერიშვილი 17, დავით კორკოტაძე 16, მარკოიშვილი 15. ფინალში გასამარჯვებლად კი ტულუშს 19 ქულა ეყო, ბერაიამ 18 მოაგროვა.

ფინალობის დაკლმვა

დანარჩენებთან შედარებით, უფერული შეჯიბრება გამოვიდა. მონაწილე 3 იყო — გიორგი გულისაბედაშვილი, ლაშა გამყრელიძე და დავით არწივაძე. მიზანი მთელი მოედნის გაყოლებაზე ჩამწკრივებული ფინალობების შემოვლა და ფარის დალაშქვრა იყო. გაიმარჯვა დავით არწივაძემ, რომელმაც დავალება ფინალისტ გამყრელიძეზე ერთი წამით ადრე, 13 წამში შეასრულა.

ირაკლი პერტანი



ნოდარ ბერაიამ და კოტე ტულუშმა ერთმანეთს წარმატება მიულოცეს



ოლ სტარის უძვირფასესი გიორგი მარკოიშვილი ზაზა ფაჩულიამ დააჯილდოვა

გურამ დოღონაშვილის ფოტო

გურამ დოღონაშვილის ფოტო



ნარკობიდეკანთ

I X 2 1-X 1-2 X-2							1 X 2 1-X 1-2 X-2										
		ინგლისი, პრემიერლიგა 30 აპრილი														შვედეთი, ალსვენსკა 30 აპრილი	
23:00	1	რედინგი-ნიუკასლი	1.90	3.30	4.00	1.20	1.28	1.80	18:00	333	იორებრო-ტრელებორგი	2.10	3.10	3.40	1.25	1.29	1.62
		შოტლანდია, პრემიერლიგა 30 აპრილი							19:00	334	გიოტებორგი-პალმსტადი	1.90	3.30	3.70	1.20	1.25	1.74
22:45	50	სტ.მირენი-დანფერმლაინი	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54	19:00	335	გეფლე-გაის	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
		გერმანია, II ბუნდესლიგა 30 აპრილი							18:00	336	ჰელსინგბორგი-ელფსბორგი	2.30	3.30	2.80	1.35	1.26	1.51
22:15	466	ესენი-ჰანზა	2.90	3.20	2.25	1.52	1.26	1.32			1 მაისი აშშ						
		საფრანგეთი, II დივიზიონი 30 აპრილი							23:45	382	სოლტ ლეიკი-კოლორადო	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
22:30	205	კენი-გენიონი	1.50	3.50	6.00	1.04	1.20	2.21			ჩემპიონთა ლიგა 1 მაისი						
		პორტუგალია, სუპერლიგა 30 აპრილი							22:45	411	ლივერპული-ჩელსი	2.45	3.10	2.90	1.36	1.32	1.49
22:45	234	აკადემიკა-ბრაგა	2.90	3.20	2.30	1.52	1.28	1.33			2 მაისი						
		ჩეხეთი 30 აპრილი							22:45	412	მილანი-მანჩესტერი	2.20	3.10	3.30	1.28	1.32	1.59
19:15	278	ბანიკი-სპარტა	3.20	3.20	2.05	1.60	1.24	1.24			უეფას თასი 3 მაისი						
		ნორვეგია, ტიპელიგა 30 აპრილი							22:45	413	სევილია-ოსასუნა	1.50	3.40	7.50	1.04	1.25	2.33
21:00	317	ლიდესტრომი-ლინი	1.75	3.30	4.10	1.14	1.22	1.82	22:45	414	ვერდერი-ესპანიოლი	1.55	3.90	5.50	1.10	1.20	2.28

I ტაიმის შედეგები

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10001	რედინგი-ნიუკასლი	2.40	2.00	4.40	1.09	1.55	1.37
10050	სტ.მირენი-დანფერმლაინი	2.55	2.00	3.50	1.12	1.47	1.27
10205	კენი-გენიონი	1.85	2.20	6.00	1.00	1.41	1.60
10234	აკადემიკა-ბრაგა	3.40	2.10	2.70	1.29	1.50	1.18
10333	იორებრო-ტრელებორგი	2.50	2.00	3.85	1.11	1.51	1.31
10334	გიოტებორგი-პალმსტადი	2.40	2.00	3.70	1.09	1.45	1.29
10335	გეფლე-გაის	2.55	2.00	3.55	1.12	1.48	1.27
10336	ჰელსინგბორგი-ელფსბორგი	2.75	2.00	3.30	1.15	1.50	1.24
10411	ლივერპული-ჩელსი	2.90	2.00	3.40	1.18	1.56	1.25
10412	მილანი-მანჩესტერი	2.65	2.00	3.70	1.13	1.54	1.29
10413	სევილია-ოსასუნა	1.90	2.10	7.80	1.00	1.52	1.65
10414	ვერდერი-ესპანიოლი	1.85	2.10	6.00	1.00	1.41	1.55

I ტაიმი/პირითაღი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11001	რედინგი-ნიუკასლი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11050	სტ.მირენი-დანფერმლაინი	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20.00	10.00	5.00
11205	კენი-გენიონი	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11234	აკადემიკა-ბრაგა	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11333	იორებრო-ტრელებორგი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11334	გიოტებორგი-პალმსტადი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.50	20.00	10.00	5.60
11335	გეფლე-გაის	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11336	ჰელსინგბორგი-ელფსბორგი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11411	ლივერპული-ჩელსი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11412	მილანი-მანჩესტერი	3.30	10.00	20.00	4.40	4.40	5.60	20.00	10.00	4.80
11413	სევილია-ოსასუნა	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11414	ვერდერი-ესპანიოლი	2.20	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00

რაგმენი ბოლი გავა მატჩში (პირითაღი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

რაგმენი	ნაკ.	მეტ.
12001	რედინგი-ნიუკასლი	1.70
12050	სტ.მირენი-დანფერმლაინი	1.60
12205	კენი-გენიონი	1.60
12234	აკადემიკა-ბრაგა	1.55
12333	იორებრო-ტრელებორგი	1.70
12334	გიოტებორგი-პალმსტადი	1.90
12335	გეფლე-გაის	1.70
12336	ჰელსინგბორგი-ელფსბორგი	1.70
12411	ლივერპული-ჩელსი	1.50
12412	მილანი-მანჩესტერი	1.60
12413	სევილია-ოსასუნა	1.60
12414	ვერდერი-ესპანიოლი	2.10

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში ბოლს (პირითაღი დრო)

რაგმენი	კი	არა
13001	რედინგი-ნიუკასლი	1.70
13050	სტ.მირენი-დანფერმლაინი	1.90
13205	კენი-გენიონი	2.00
13234	აკადემიკა-ბრაგა	1.70
13333	იორებრო-ტრელებორგი	1.70
13334	გიოტებორგი-პალმსტადი	1.70
13335	გეფლე-გაის	1.70
13336	ჰელსინგბორგი-ელფსბორგი	1.70
13411	ლივერპული-ჩელსი	1.70
13412	მილანი-მანჩესტერი	1.70
13413	სევილია-ოსასუნა	1.90
13414	ვერდერი-ესპანიოლი	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

რაგმენი	0-0 შედეგი	გაიტანს	არა გაიტანს
14001	რედინგი-ნიუკასლი	1.70	2.20
14050	სტ.მირენი-დანფერმლაინი	1.75	2.10
14205	კენი-გენიონი	1.30	2.50
14234	აკადემიკა-ბრაგა	2.00	1.80
14333	იორებრო-ტრელებორგი	1.75	2.10
14334	გიოტებორგი-პალმსტადი	1.70	2.20
14335	გეფლე-გაის	1.75	2.10
14336	ჰელსინგბორგი-ელფსბორგი	1.80	2.00
14411	ლივერპული-ჩელსი	1.85	1.95
14412	მილანი-მანჩესტერი	1.80	2.00
14413	სევილია-ოსასუნა	1.30	2.50
14414	ვერდერი-ესპანიოლი	1.30	2.50

რომელ ტაიმში გავა მეტი ბოლი

რაგმენი	I-ში	თანაბრად	II-ში
15001	რედინგი-ნიუკასლი	3.00	2.80
15050	სტ.მირენი-დანფერმლაინი	3.00	2.80
15205	კენი-გენიონი	3.00	2.80
15234	აკადემიკა-ბრაგა	3.00	2.80
15333	იორებრო-ტრელებორგი	3.00	2.80
15334	გიოტებორგი-პალმსტადი	3.00	2.80
15335	გეფლე-გაის	3.00	2.80
15336	ჰელსინგბორგი-ელფსბორგი	3.00	2.80
15411	ლივერპული-ჩელსი	3.00	2.80
15412	მილანი-მანჩესტერი	3.00	2.80
15413	სევილია-ოსასუნა	3.00	2.80
15414	ვერდერი-ესპანიოლი	3.00	2.80

შრეს გარეშე (ძირ დრო)

რაგმენი	დრო	შრეს გარეშე
16001	რედინგი-ნიუკასლი	1.34
16050	სტ.მირენი-დანფერმლაინი	1.52
16205	კენი-გენიონი	1.14
16234	აკადემიკა-ბრაგა	2.05
16333	იორებრო-ტრელებორგი	1.50
16334	გიოტებორგი-პალმსტადი	1.34
16335	გეფლე-გაის	1.50
16336	ჰელსინგბორგი-ელფსბორგი	1.62
16411	ლივერპული-ჩელსი	1.75
16412	მილანი-მანჩესტერი	1.55
16413	სევილია-ოსასუნა	1.14
16414	ვერდერი-ესპანიოლი	1.17

ბოლი:წყვილი-10ზე კონტა-2 (0:0 ითვლება წყვილად)

რაგმენი	წყვილი	კონტა
17001	რედინგი-ნიუკასლი	1.85
17050	სტ.მირენი-დანფერმლაინი	1.85
17205	კენი-გენიონი	1.85
17234	აკადემიკა-ბრაგა	1.85
17333	იორებრო-ტრელებორგი	1.85
17334	გიოტებორგი-პალმსტადი	1.85
17335	გეფლე-გაის	1.85
17336	ჰელსინგბორგი-ელფსბორგი	1.85
17411	ლივერპული-ჩელსი	1.85
17412	მილანი-მანჩესტერი	1.85
17413	სევილია-ოსასუნა	1.85
17414	ვერდერი-ესპანიოლი	1.85

შემდეგ მატჩში გასვლა

18411	ლივერპული-ჩელსი	3.00	1.30
18412	მილანი-მანჩესტერი	2.10	1.65

**შესაძლო ცვლილებები
დააზუსტეთ აღვინა**

ოლა ორივეს დატოვებს

„ლიონის“ პრეზიდენტმა ჟან-მიშელ ოლამ განაცხადა, რომ უნ-
ინიო პერნამბუკანო და გრეგორი კუპე გუნდში რჩებიან.

„ორივე ფეხბურთელს სამწლიანი კონტრაქტების გაფორმება სურ-
და და ამაზე დათანხმდები — განაცხადა პრეზიდენტმა — ახლა
მხოლოდ მათ ჯამაგირზე მოვილაპარაკებთ და საქმეც მოგვარდება. მე
მინდა, შევინარჩუნო გუნდის ძირითადი მოთამაშეები, რათა „ლიონმა“
კვლავ პირველობისთვის იბრძოლოს ჩემპიონატში, ჩემპიონთა ლიგაში
კი უფრო შორს წავიდეს. კუპეც და უნინიოც „ლიონის“ ქომბავებს
გამორჩეულად უყვართ და ამიტომ დავყავთ მათ მოთხოვნებს.“

მარადონას უფილები

დიეგო მარადონას უფილები გაბრაზებულნი არიან იმის გამო,
რომ ვიდაკამ მათი მამის გარდაცვალების ამბავი გაავრცელა და ამ-
ბობენ, დიეგო ამჟამად უკეთესად არაა.

„მამა კლინიკაშია და თავს კარგად გრძობს. ცოტა სისუსტეს უჩი-
ვის“ — თქვა 20 წლის დალმა მარადონამ ერთ-ერთ არგენტინულ
ტელევიდეოში.

„საბედნიეროდ, მამა ბევრად უკეთ გამოიყურება და ჭორები მისი
გარდაცვალების შესახებ საზიზღრობაა“ — განაცხადა 17 წლის ჯანიმამ.
შეგახსენებთ, რომ 46 წლის მარადონა ერთი კვირის წინ მოათავს-
ეს ბუენოს აირსის ფსიქიატრიულ კლინიკაში.

გაირუა გამგეობა

„პოლფსბურში“ „ნიციდან“ მარამა ვაირუას გადაბირებას ცდი-
ლობს. „ეკიპის“ ცნობით, გერმანული კლუბის მწვრთნელი კლაუს აუ-
გენტალერი მალე პირადად შეხვდება ფრანგული გუნდის გამთამაშე-
ბელს. აბრილის დასაწყისში აუგენტალერი „ნიცა“ — „სენტ ეტიენის“
მატჩს დასწრებია და ვაირუას თამაში უნახავს. „მგლები“ ფეხბურთე-
ლის სანაცვლოდ 800 ათასი ევროს გადახდას აპირებენ. კიდევ ერთი
ნიცელი, ბრაზილიელი ედერსონი კი გუნდში დარჩენას აპირებს.

„სეზონის ბოლოს გადაწყდება ჩემი ამბავი — თქვა ედერსონმა —
მე გუნდის გამოცვლა არ მინდა, რადგან აქაურობა მომწონს.“

გუფრანი არსენალისთვის

ლონდონის „არსენალი“ ითან გუფრანის გამო „კაენს“ მიადგა.
20 წლის გუფრანი ნიჭიერი ფეხბურთელი ყოფილა და ევროპის
ბოლო კლუბები მის გადაბირებას ცდილობენ. მათ შორის არიან
„ვალენსია“, „ჩელსი“ და ასეუ. პარიზელმა იანვარში 3 მილიონი
ევრო შესთავაზეს „კაენს“, მაგრამ უარი მიიღეს. ასე კვლავაც აპირ-
ებს ამ ზაფხულს კაენელებთან შეეატრებას, მაგრამ „არსენალთან“
შეჯიბრი მიუწევს. არსენ ვენგერს არაერთი ფრანგი ახალგაზრდა
წაუყვანია „მეთოფეგში“ და გუფრანიც ლონდონისკენ იწევს. ვარდა
ამისა, ასე-ს მცველმა სილვენ არმანმა უარყო ცნობა „ლიონში“ მისი
გადასვლის თაობაზე.

„გაზეთში წავიკითხე, რომ „ლიონი“ ჩემით დაინტერესებულია, მა-
გრამ წასვლას არ ვაპირებ. ეს სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან
კლუბთან კონტრაქტი უკვე გავაჩანგობდივე 2010 წლამდე. არ ვიცი,
საიდან მოდის ეს ჭორები“ — თქვა არმანმა.

უდინეზემ ტანკი ნახა

„უდინეზე“ ფორვარდს სამხრეთ ამერიკაში ეძებს და არგენტინ-
ულ მარიანო პავონეს მიაგნო. თავდაპირველი „ესტუდიანტესში“ თა-
მამობს. მისი ფასი დაახლოებით 4 მილიონი ევროა, მეტსახელად კი
„ტანკს“ ეძახიან. „ესტუდიანტესის“ მწვრთნელმა დიეგო სიმეონემ
პავონეს რეკომენდაცია გაუწია „ლალიოში“, მაგრამ საქმე ისე მიდის,
რომ ფეხბურთელი „უდინეზეში“ აღმოჩნდება. უდინური კლუბის პრე-
ზიდენტმა ჯამპაოლო პოტომ განაცხადა, პავონეს ტრანსფერი თით-
ქმის მოგვარებულიაო.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ „უდინეზეს“ განელი ნახევარმცველი კრისტიან
ოტოლო ტრავმის გამო სეზონის ბოლომდე გამოაკლდა. მას მუხლის მე-
სეტი გაუწყდა და ოპერაციის შემდეგ 6 თვე უქმობა მოუწევს.

გავ-ყვითელი ციგლარი

ბუნდესლიგის „დორტმუნდმა“ მეკარე შეიძინა. „შავ-ყვითლებ-
მა“ რეგიონალური „საარბრიუკენიდან“ მარკ ციგლერი გადაიბირეს.
იგი რომან ვაიდენფელერის შემცვლელი იქნება. ციგლერი „საარბრიუ-
კენიდან“ ბილფელდის „არმინიაშია“ განათხოვრებული და ამ სეზონში
ოთხი მატჩი ითამაშა. მან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა „შავ-
ყვითლებთან“ და თომას დოლის გუნდს სეზონის ბოლოს შეუერთდება.

რეიესი აინლის გაცია

მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველმა ხოსე ანტონიო რეიესმა
ლონდონის კლიმატი დაიწუნა. იგი „არსენალიდანაა“ განათხოვრებუ-
ლი მადრიდულ კლუბში და პრემიერლიგაში დაბრუნება არ უნდა.

„ლონდონში კარიერის გაგრძელება არ მსურს — თქვა რეიესმა —
თუ „რეალში“ არ დაბრუნდები, სხვა ესპანურ კლუბში გადავალ,
ოღონდ კი ინგლისში არ გამგზავნი. იმიტომ კი არა, რომ „არსენა-
ლი“ მეჯავრება, მიზეზი სხვაა: იქაურ კლიმატს ვერ ვეგუები. ჩემი
თუ არ გვერათ, ბაპტისტას ჰკითხეთ“.

ბაპტისტა და რეიესი „რეალმა“ და „არსენალმა“ შარშან ერთი
სეზონით გაცვალეს.

გვამ სუბიზილი

ლურჯი ავიდიამა

ბალას პარპალიუ მიუფან



მიხაელ ბალას ოპერაცია დასჭირდა

ლონდონის „ჩელსის“ ტრავმების ეპიდემია არა და არ ეწყვი-
თაქობრივად, მიუღი სეზონია, ყოზე მანინიუს გუნდს ხან რომელი
ფეხბურთელის გარეშე უწევს თამაში და ხან რომელი. ბუნებრივია,
სეზონის მიწურულს, როცა დედაქალაქელებს უმნიშვნელოვანესი მატ-
ჩები დარჩათ სათამაშო, ეს ორმაგად საგრძნობი იქნება.

შეგახსენებთ, რომ „ნიუკასლთან“ მატჩში მიხაელ ბალაკი ტიტუს
ბრამბლმა დაამტვრია. გერმანელმა კოჭის საკმაოდ სერიოზული ტრავმა
მიიღო და მის სამკურნალოდ სამშობლოში ექიმ ჰანს მიულერ-ვოლფე-
რტთან გაემგზავრა. იქ გაირკვა, რომ ბალაკს ოპერაცია სჭირდებოდა,
რომელიც უკვე გაიკეთა კიდევ და ნაკლებ სავარაუდოა, ამ სეზონში
მინდორს დაუბრუნდეს.

ახალი საფიქრალი კი მანინიუს რიკარდუ კარვალიუმ გაუჩინა: „შაბ-
ათს „ბოლტონთან“ ფრედ ნათამაშებ მატჩში მან მუხლის ტრავმა მი-
ღო და ალბათ სამშაბათს „ლივერპულთან“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარ-
ფინალის საპასუხო შეხვედრას გამოტოვებს.

გიორგი ბაბაბაძე

გაიწინული გოლიში ვერდერს

ბერამინის ნაკრებისა და „ვე-
რდერის“ ფორვარდმა მიროსლავ
კლოზემ ბრემენულ კლუბს საჯა-
როდ მოუხადა ბოდიში. საქმე ისაა,
რომ წინა კვირის დასაწყისში კლო-
ზე მიუნხენის „ბაიერის“ წარმოშ-
ადგენლებს შეხვდა, „მუსიკოსთა“
ხელმძღვანელობა კი საქმის კურ-
სში არ იყო.

— „ბაიერის“ წარმომადგენლე-
ბთან შეხვედრა მხოლოდ ინფორმ-
აციული თვალსაზრისისა იყო და
იგი მხოლოდ 20 წუთს გაგრძელ-
და. არც რაიმე მოლაპარაკება და-

გვიწყია და არც კონტრაქტზე გვი-
საუბრია. თუმცა მინდა, „ვერდერ-
სა“ და მის ფანებს ბოდიში მოვუ-
ხადო, რადგან კლუბის ხელმძღვა-
ნელობა და მწვრთნელი წინასწარ
მანც უნდა გამოფრთხილებინა“ —
თქვა კლოზემ.

„ვერდერის“ სპორტული დირექ-
ტორი კლაუს ალოფსი: „ბოდიშს ვი-
ღებთ, მაგრამ კიდევ ერთხელ გვინ-
და, ვთქვათ, რომ კლოზეს ჩვენთან
კონტრაქტი 2008 წლამდე აქვს“.
ალოფსმა უფვას თასზეც ისაუ-
ბრა და აღნიშნა, რომ ბრემენელებს

ფინალში გასვლის შანსი მაინც აქ-
ვთ, მიუხედავად „ესპანიოლთან“ პი-
რველ მატჩში 0:3 განადგურებისა...

„ძალიან ცუდად ვითამაშეთ და
ჩვენი შეცდომებით მეტოქეს დავე-
ხმარეთ. ფინალში გასვლა ძალიან
ძნელი იქნება, მაგრამ ყველაფერი
დამთავრებული ვერ არ არის, შა-
ნსი კიდევ გვაქვს. ისევე უნდა ვი-
თამაშოთ, როგორც „ესპანიოლმა“
პირველ მატჩში, ფანებიც დავეხმ-
არებიან და თუ ცოტა იღბალიც
გაგვიღიმებს...“

კოკი განდელაძე

მილანის სალიგო აგზაბი

იტალიურ „მილანს“ ექიმებმა კარგი ამბები უთ-
ხრეს — „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ჩემპიონთა ლი-
გის ნახევარფინალის საპასუხო მატჩში ფილიპო ინ-
ძავის, ჯენარო გატუზოს და პაოლო მალდინის თამ-
აში სათუო გახლდათ, მაგრამ ახლა გაირკვა, რომ პი-
რველი ორი მოედანზე გასასვლელად მზად იქნება.
რაც შეეხება „როსონერის“ ვეტერან კაპიტანს, დიდი
შანსია, თამაში მანაც შეძლოს.

ასე რომ, კარლო ანჩელოტის „წითელ ეშმაკებთან“,
ფაქტობრივად, უძლიერესი შემადგენლობა ეყოლება.
„ინმაგი მწყობრშია. სასიხარულოა, რომ გატუზოც
ფორმაში იქნება. ვიმედოვნებთ, მალდინიც მოასწრებს
გამოჯანმრთელებას“ — განაცხადა ანჩელოტიმ შა-

ბათს „ტორინოსთან“ მოგებული შეხვედრის შემდეგ.
„როსონერის“ მწვრთნელს ალბერტო ჯილარდინო-
ზეც ჰკითხეს: „პარმას“ ექსფორვარდი არადამაჯერე-
ბლად თამაშობს. იგი არც სერია A-ში ბრწყინავს,
ჩემპიონთა ლიგაში კი ოდენ ერთი გოლი აქვს გატა-
ნილი.

„ჩემპიონთა ლიგა ძალიან რთული და განსხვავებუ-
ლი ტურნირია. იქ მეტი ზეწოლა და სხვაანაირი ატ-
მოსფეროა. ჯილარდინოს კი სათანადო გამოცდილე-
ბა ვერ არ აქვს, მაგრამ იგი მაღალი კლასის ფორ-
ვარდია და მისი ძალიან გვეიმედება“ — აღნიშნა
ანჩელოტიმ.

გიორგი ბაბაბაძე

მერე რა, რომ ფრანგი ვარ
იუვენტუსში ლიბიზე ლაპარაკობენ

იტალიურ პრესაში ბოლო
დროს გავრცელებული ინფორმაც-
იით, ჯანლუიჯი ბუფონის „მილან-
ში“ ან „ინტერში“ გადასვლა გად-
აწყვეტილია, თუმცა „იუვენტუსის“
მეკარემ ეს ცნობები კატეგორიულ-
ად უარყო.

„ყველაფერი, რაც პრესაში დაი-
წერა, ტყუილია. ჩემს მომავალზე
არავისთან მილაპარაკია. შეიძლება
წავედო, შეიძლება დავრჩე, ჯერ თა-
ვად არ ვიცი, რას ვიზამ. ერთი,
რაც შემიძლია ვითხრაო, გადაწყვე-
ტილებას „იუვენტუსის“ ხელმძ-
ღვანელობასთან ყველაფრის დეტა-
ლურად გარკვევამდე არ მივიღებ.
ურთოსობასთან ჩინებული ურთი-
ერთობა მაქვს და თუ წავალ, მხო-
ლოდ იმ პირობით, რომ სათანადო
ფინანსურ სარგებელს კლუბიც ნა-
ხავს, ხოლო თუ დავრჩები, ყველა
ისედაც კმაყოფილი იქნება. თუმცა
ახლა ამაზე საუბრის დრო არ არის,
მხოლოდ სერია A-ში დაბრუნება-
ზე ვფიქრობთ. მიზანს უკვე თითქ-
მის მივადწვიეთ. ლამის ყოველ ტუ-

რში ვივებთ, მაგრამ ამას განსაკუ-
თრებით არავინ აღნიშნავს, თითქოს
ადვილი იყოს. მინუს ქულები ამო-
ეკაჩეთ და სერია B-ს ვლიდვრობთ,
რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს,
რომ „იუვენტუსს“ გამარჯვებები და
წარმატებებისკენ სწრაფვა სისხლ-
ში აქვს“ — განაცხადა ბუფონმა.
„ბებერი ქალბატონი“ ელიტაში
დაბრუნებასთან მართლაც ძალიან
ახლოს არის და რომ არა ის მინ-
უს 9 ქულა, უკვე ოფიციალურად
განადგებული ექნებოდა სერია A-
ს საგზური. თუმცა ბევრი მაინც
იმაში ამბობს, მომავალ სეზონში
„იუვეს“ დიდი დემანი აღარ უთა-
ვაკცებო. გაზეთების ვერსიით, ტუ-
რინელთა მწვრთნელად მარჩელო
ლიპი დაბრუნდება.

ცხადია, ეს მითქმა-მოთქმა ფრანგ
სპეციალისტს არ სიაძინებებს...
„ვერ ვგრძნობ, რომ ჩემი პოზიცია
შერყეულია. როცა ამ საბუძლის ვი-
ანხმდებოდი, ვიციოდი, ასეთი მით-
ქმა-მოთქმების გაძლდება რომ მომ-
იწვედა. რადგან ფრანგი ვარ, შეს-

აძლოა, ბევრი ამის გამოც თვლის,
რომ სერია A-ში „იუვენტუსის“
მწვრთნელი არ უნდა ვიყო, განსა-
კუთრებით ერთი გაზეთი ცდილობს
ჩემს საწინააღმდეგოდ კამპანიის აგ-
ორებას და ლიბის სავარაუდო და-
ბრუნების ამბავიც გავიგო. თუმცა
ამას ჩემზე არ უშოქმედია, შედეგები
ზურგს მიმაგრებს. მეც და მიუღი
გუნდიც მხოლოდ სერია A-ში დაბ-
რუნებაზე ვფიქრობთ და კონკრეტ-
რაციას არ ვკარგავთ. უშუალოდ
გუნდში თუ არიან ისეთები, რომ-
ლებსაც ჩემში ეჭვი ეპარებათ? ალ-
ბათ კი, მაგრამ მათ ახლა არ და-
ვასახებლებ. ცხოვრებაში და ფეხბ-
ურთში ყველას აქვს ეჭვები, მწვრ-
თნელს კი მუდამ უწევს ტესტებ-
ის ჩაბარება. არც აქამდე ვფიქრო-
ბდი, რომ ბრწყინვალე სპეციალი-
სტი ვიყავი და არც ახლა ვივლი,
რომ ცუდი ვარ. უბრალოდ, კვიდი-
ლობ, ჩემი საქმე, რაც შეიძლება,
კარგად ვაკეთო“ — აღნიშნა დემ-
ანმა „ლა სტამპასთან“ საუბრისას.

გიორგი ბაბაბაძე

ჩემი უბედურება ჩემი ჯილდოებია



მადრიდის „რეალის“ იტალიელი მკველმა ფაბიო კანავარომ ესპანურ „მარკასთან“ საუბარში ცოტა უცნაური განცხადება გააკეთა — მიმდინარე სეზონში „სამფო გუნდში“ ჩემი არადაძავერებელი თამაშის მიზეზი გაუთავებელი ინტერვიუებისა და იმ მრავალი ჯილდოს ბრალია, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის მერე მივიღე.

ჩემთვის ძალიან რთული სეზონი იყო, უამრავი ინტერვიუთი, ფოტოთი თუ ვიდეოთი დახუნძულდი. რა თქმა უნდა, ერთი მხრივ, ეს ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ მე ისეთი ფეხბურთელი ვარ, რომელსაც კარგი თამაშისთვის ასპროცენტიანი კონცენტრაცია სჭირდება. ამ პირობებში კი ეს შეუძლებელი გახლდათ — თქვა კანავარომ.

შეგახსენებთ, რომ მუნდიალზე ბრწყინვალე თამაშის შემდეგ კანავარომ „იქროს ბურთი“ და ფოფას წლის საუკეთესო მოთამაშის წოდება მოიგო. იგი 2006 წლის საუკეთესოდ „უორლდ სოკერის“ ვერსიითაც დასახელდა.

ფაბიო კანავარო: „მოთელი ამ წარმატების საფასური მიმდინარე სეზონში ჩემი არადაძავერებელი თამაში გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ როგორც შემძლე, ვმუშაობდი, მაგრამ სათანადო ფორმაში ვერ ვერ ჩავდიქი. მადრიდში მსოფლიოს გარემო საძოვზაუნოდ და სხვადასხვა ჯილდოების მისაღებად კი არა, ფეხბურთის სათანადოდ ჩამოვედი.“

აღსანიშნავია ისიც, რომ მიმდინარე სეზონში კანავაროს არც მსაჯები სწყალობდნენ — რამდენჯერმე ტყუილად უჩვენეს ყვითელი თუ წითელი ბარათები და პენალტიც არავრთხელ დასაჯეს. ამის გამო, იტალიელმა ესპანელი მსაჯების კვალიფიკაციაში ეჭვი შეიტანა.

„რამდენჯერმე დაუშინებულად დამაჯარიმეს. ესპანეთში იტალიისგან განსხვავებული მსაჯობაა და ხშირად აქ წესების სრული დაცვით თამაში უხეშობდა ერვენებათ. მე არ ვარ უხეში მკველი, რომელიც მეტოქის განგებ დამავეებს ცდილობს ან წესების ხშირი დარღვევა სჭირდება ფონს გასასვლელად“ — აღნიშნა „სკუადრა აპურას“ 33 წლის კაპიტანმა.

ბოლოს კანავარომ პრიმერადივიზიონის ლიდერებზეც თქვა: „ბარსელონა“ ახლა დაახლოებით იგივე ვითარებაშია, როგორმაც ჩვენ ვიყავით. კატალონიელები ზეწოლის ქვეშ არიან, ფანები მათგან ყოველთვის მოგებას ითხოვენ. პრიმერადივიზიონიდან „სევილიას“ გამოვარჩევიდი, რადგან მას მერე, რაც ესპანეთში ჩამოვედი, ხუანდე რამოსის გუნდი ყველაზე შემართულია და სხვებზე უკეთეს ფეხბურთსაც თამაშობს“.

პოპი განდელაძე

ბერძნებს ათენი დაუგაღეს

უშვას გადაწყვეტილებით, საბერძნეთის ნაკრები ევრო 2008-ის შესარჩევი ეტაპის ორ მომდევნო საშინაო მატჩს ათენში ვერ გამართავს. 2 ივნისს ელინები უნგრეთს, 6-ში კი მოლდოვას უმასპინძლებენ. ეს თამაშები ქალაქ კრეტში ჩატარდება. უეფამ ასე დასაჯა ბერძნები, რომელთა ქომაგებიც თურქეთთან საშინაო მატჩში ცუდად მოიქცნენ. თურქებმა ათენში მასპინძლებს 4:1 მოუგეს, რამაც გულშემბატყვერები ალაშქროთა და არეულობაც ამას მოჰყვა.

საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაცია 61 ათასი ევროთიც დააჯარიმეს.

ინტერის კეიტა

მილანის „ინტერი“ ლანსელ ნახევარმცველ საიდუ კეიტას გადაბირებას ლამობს. მალიში დაბადებული ფეხბურთელი ამ სეზონში კარგად თამაშობს და ბოლოა კლუბების ყურადღება მიიპყრო. კლუბთან კონტრაქტი მას 2008-ის ზაფხულში ეწურება.

„ჩემი ოცნება „ლანსთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგაში თამაშია, მაგრამ შემდეგ უკეთეს გუნდში გადასვლაზე ვიფიქრებ. ვიცი, სეზონის ბოლოს ბევრი შემოთავაზება მექნება“.

კეიტა „ლანსმა“ „სტრასბურგიდან“ შარშან 5 მილიონ ევროდ შეიძინა. მისი ყიდვა პრემიერლიგის „ბოლტონსაც“ უნდა.

„ინტერი“ კი ისევ არ ეშვება ბარსელონელ დეკუს, ვინც ლუიშ ფიგუს შემცვლელად შეუგულებია.

„მადლოებელი ვარ ფიგუსი, რომელმაც „ინტერს“ ჩემი თავი უქო, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ვხედავ კლუბის გამოცვლის მიზეზს“ — თქვა დეკუსი.

ლუკა იაბით ხელში და ბაიერნი

იტალიური მედიის ცნობით, „ფიორენტინას“ ფორვარდმა, მსოფლიოს ჩემპიონმა ლუკა ტონიმ უკვე მოაწერა ხელი მიუნხენის „ბაიერნიან“ კონტრაქტს და სეზონში 3 მილიონ 700 ათას გირვანქას მიიღებს. მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონატის შემდეგ ტონის გადაბირებას არაერთი გუნდი ცდილობდა. მათ შორის იყვნენ „ინტერი“ და „იუვენტუსი“ იტალიიდან, ხოლო უცხოურებიდან „ბაიერი“ აქტიურობდა. იტალიური მედია იმასაც ამტკიცებს, რომ მიუნხენურმა კლუბმა „იუბს“ ფეხბურთელის სანაცვლოდ 12 მილიონ 300 ათასი გირვანქა გადაუხადა. თუმცა „ფიორენტინას“ შეფობა საპირისპიროს ამბობს — ტონის არავისთან ხელი არ მოუწერია და „ბაიერნის“ ამბავი ჭორიაო.

გაბა ხუციშვილი

ნორვეგია

ტიპილიზა. IV ტური

